პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 130 (10524)

ოთხშაბათი, 6 ივნისი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

მოწინავე გამოცდილების დიადი ძალა

გუშინწინ ჩვენი საყვარელი სამშობლოს გულში — მოსკოვში მუშაობა განაახლა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ, რომელსაც საბჭოთა ხალხი სამართლიანად უწოდებს მოწინავე გამოცდილებისა და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევათა შესანიშნავ სკოლას, ნამდვილ სახალხო უნივერსიტეტს. გამოფენა ცხადყოფს საკოლმეურნეო წყობილების დიად ძალასა და სიცოცხლისუნარიანობას, მის უსაზღვრო შესაძლებლობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდისათვის.

მიმდინარე წლის გამოფენის თავისებურება ის არის, რომ საფუძვლიანად, ყვალიფიციურად უჩვენებს იმ მეურნეობათა გამოცდილებას, რომლებმაც უნარიანად გამოიყენეს თვითეული ჰექტარი მიწა და ყოველ ას ჰექტარ სავარგულებზე მაქსიმალური რაოდენობით მიიღეს პროდუქცია. დიდი ყურადღება ექცევა გამოცდილებას სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის განვითარების საქმეში. ამასთან ნაჩვენები იქნება წინათ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც დაგეგმვის ახალი წესის გამოყენებისა და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების დანერგვის შედეგად მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ. მოწინავე გამოცდილების ძალა დიდი ძალაა. მომდინარე წელს გამოფენას დაათვალიერებს 260 ათასზე მეტი ორგანიზებული ექსკურსანტი და მრავალი ათასი მნახველი.

საბჭოთა ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა აგრეთვე სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენის გახსნას.

მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური პოლიტიკის განხორციელებით საბჭოთა კავშირი მძლავრ ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა. გამოფენის 20 პავილიონში, რომლებიც მთავსებულია სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე, ექსპონატები ასახავენ სამამულო მრეწველობის, საბჭოთა ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევებს უკანასკნელ წლებში და გვიჩვენებენ მეექვსე ხუთწლედში სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივებს.

სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენები მუშაობას შეუდგნენ ღრმასშესანიშნავ დღეებში, როცა საბჭოთა კავშირში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება საყოველთაო-სახალხო ბრძოლა კომუნიზმის მშენებლობის იმ დიდებული პროგრამის განსახორციელებლად, რაც ჩვენს ხალხს დაუსახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ. მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანები ის არის, რომ მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე უზრუნველყოფილ იქნას სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე მიღწეულ იქნას საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლებისათვის მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ იყო გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. ამ შეჯიბრებაში მრავალი მეურნეობა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანი დაწინაურდა ჩვენი რესპუბლიკიდან. გამოფენის მონაწილეა ფართო ჩვენებით მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც გასულ წელს 173 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 49.2 ცენტნერი სიმინდი. ქობულეთის რაიონის დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ბეჯითად შრომობენ ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის. შარშან კოლმეურნეობამ 163.64 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 6.462 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რითაც სოფლის მეურნეობის მიღწევათა საყოველთაო-სახალხო დათვალიერების მონაწილე გახდა.

გამოფენის მონაწილეთა შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები, სოფლის მეურნეობის ნოვატორები, რომლებიც შემოქმედებითი შრომით უშუალოდ ქმნიან საკოლმეურნეო დოვლათს. ესენი არიან ახმეტელი ო. აივაზაშვილი, ქობულეთელი გ. ჯინჭარაძე, მახარაძელი ლ. შარაძე, წულუკიძელი ნ. ბარაბაძე, ორთაჭალელი ნ. ქაჯაია, ს. თათოსნიანი და ზ. ფედოროვი, წყალტუბოელი მ. კიკვაძე, ონმეჩირელი დ. ზაქარაია. მთელი რიგი მოწინავე მეურნეობები და სახელმოხვეჭილი ადამიანები არიან საქართველოდან წელს გამოფენის მონაწილენი ფართო და მასობრივი ჩვენებით.

დიდი პასუხსაგები ამოცანებია დასახული მეექვსე ხუთწლედში საქართველოს სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე.

ხუთწლედის განმავლობაში 1,6-ჯერ უნდა გადიდდეს როგორც მთელი მრეწველობის, ისე რესპუბლიკური მრეწველობის საერთო პროდუქცია. დიდი ამოცანებია დასახული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საქმეში. 1960 წლისათვის მთლიანად რესპუბლიკაში მარცვლეულის საერთო მოსავალი აუვანილ უნდა იქნას 62 მილიონ ფუთამდე, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოება — 165 ათას ტონამდე; 1960 წელს 1955 წელთან შედარებით ხორცის წარმოება უნდა გადიდდეს დაახლოებით 1,7-ჯერ, რძისა — 2-ჯერ, მატყლისა — 1,4-ჯერ, აბრეშუმის პარკისა — 1,8-ჯერ.

ამ საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესრულებას დიდად შეუწყობს ხელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა მდიდარი გამოცდილების გავრცელება ჩვენი რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურში. 1956 წელი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე გამოცდილების მასობრივი დანერგვის წელი უნდა გახდეს.

საჭიროა, რომ რაიონში დაბრუნების შემდეგ ექსკურსანტები შეხვდნენ კოლმეურნეებს, მტკნებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, უამბონ მათ ყოველივე იმ ახლის, მოწინავის, პროგრესულის შესახებ, რაც გამოფენაზე ნახეს და საჭიროდ მიაჩნიათ გამოიყენონ თავიანთ კოლმეურნეობებში. ასეთ საერთო კრებებზე ექსკურსანტთა მოხსენებების საფუძველზე საჭარგებლო იქნება შემუშავდეს კონკრეტული ღონისძიებანი მოწინავე მეთოდებისა და ხერხების დასანერგავად.

სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენის ყველა განყოფილებაში წარმოდგენილია მოწინავე საწარმოთა გამოცდილება, მოცემულია ჩვენი სოციალისტური მრეწველობის შემდგომი განვითარების უდიდესი შესაძლებლობანი შინაგანი რეზერვებისა და წარმოების უკეთესი ორგანიზაციის გზით. სამრეწველო გამოფენა ხელს შეუწყობს წარმოებაში მეცნიერული აღმოჩენების და ტექნიკის საუკეთესო მიღწევების აქტიურად დანერგვას, გამოცდილების ურთიერთ გაზიარებას.

უნდა მივაღწიოთ იმას, როგორც დიდი ლენინი მოითხოვდა, რომ სანიმუშო მაგალითის გადმოღება ფართოდ წარმოებდეს ყველგან და სავალდებულო ხდებოდეს.

ადგილობრივი ორგანიზაციების ვალია უმნიშვნელოვანეს პარტიულ და სახელმწიფოებრივ მოვალეობად გაიხადონ წარმოებაში მოწინავე გამოცდილების გავრცელება.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენების მასობრივი დათვალიერება, მათი მდიდარი გამოცდილების უშუალოდ წარმოებაში ფართო მასშტაბით დანერგვა დაეხმარება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებს იმ დიდი ამოცანების განხორციელებაში, რაც მათ წინაშე დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა საუზმე გამართა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს პატივსაცემად

5 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა საუზმე გამართა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს პატივსაცემად.

საუზმეზე იუგოსლავიის მხრივ იყვნენ: იოსიპ ბროზ ტიტო მეუღლითურთ, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე ედვარდ კარდელი მეუღლითურთ, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კოჩა პოპოვიჩი მეუღლითურთ, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრი მიიალკო ტოდოროვიჩი, ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე იაკობ ბლაჟევიჩი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ველკო მიჩუნოვიჩი მეუღლითურთ, რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალური მდივანი იოვე ვილფანი, შინაგან საქმეთა სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯურო სტანკოვიჩი, სახელმწიფო მდივნის მოადგილე, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილის კაბინეტის შეფი ანტონ ვრატუშა, უმაღლესი მთავარსარდლის კაბინეტის უფროსი გენერალ-პოდპოლკოვნიკი მილოშ შუმონია, პრეზიდენტის მთავარი ადიუტანტი გენერალ-მაიორი მილან ქექელი, ეკონომიური დაგეგმვის საკავშირო სამმართველოს დირექტორის მოადგილე ნიკოლა ჩობელიჩი და იუგოსლავიის დელეგაციის სხვა წევრები: ბოჟიდარ ლავრიჩი, რადოვან ლალიჩი, ბრანკო ვუჩინიჩი, მილა სტოინიჩი, ტიხომირ სტანოევიჩი, ალექსანდარ შოკორაცი; სრულუფლებიანი მინისტრი, სსრ კავშირში იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი ბოგდან ოსოლნიკი, საელჩოს მრჩევლები — ფილიპ ბაბიჩი და ჩედომორჩიჩი, სამხედრო და სამხედრო-საჰაერო ატაშე პოლკოვნიკი ბოგდან მამულა; გაზეთ „ბორბას“ დირექტორი ივო სარაიჩიჩი, გაზეთ „ვიესნიკის“ დირექტორი ჯურო კლადარინი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ: კ. ე. ვოროშილოვი მეუღლითურთ, ამხანაგები ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. პ. ზავენიაგინი, გ. ა. კუჩერენკო, ვ. ა. მალიშევი, ვ. ვ. მაცკევიჩი, ი. თ. თევოსიანი, მ. ვ. ხრუნიჩევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილეები ა. ა. გრომიკო და ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსი გ. ი. ფომინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-5 განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი კ. დ. ლევიჩკინი.

საუზმეზე, რომელმაც უაღრესად გულითად ვითარებაში ჩაიარა, ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა წარმოთქვა შემდეგი სიტყვა:

ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო პრეზიდენტო!
ძვირფასო ამხანაგებო!

მე გამოვხატავ ჩვენს საერთო გრძნობებს თუ ვიტყვი — ძალიან მოხარული ვართ, რომ თქვენ და თქვენი თანამებრძოლნი იმყოფებით აქ ჩვენთან ერთად, ერთ მეგობრულ წრეში.

საბჭოთა მთავრობის სახელით სულით და გულით მოგესალმებით თქვენ, ამხანაგო ტიტო, თქვენს მეუღლესა და ამხანაგს იოვანკა ბროზს, თქვენ და თქვენს მეუღლეებს, ამხანაგებო კარდელ და პოპოვიჩ, თქვენ, ამხანაგებო ტოდოროვიჩ და ბლაჟევიჩ, და ყველა მეგობარს, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ თქვენთან ერთად.

ერთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენ, მე, ამხანაგები მიქოიანი, შეპილოვი და სხვები ამხანაგ ხრუშჩოვთან ერთად ჩვენი მთავრობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის რწმუნებით ვიყავით თქვენთან ბელგრადში. ჩვენ ყოველთვის ღრმა კმაყოფილების გრძნობით ვიგონებთ ჩვენს შეხვედრებსა და საუბრებს თქვენთან. ჩვენ მადლობით გვახსოვს ის სტუმართმოყვარეობა და ყურადღება, რასაც თქვენ და თქვენი კოლეგები გვიწევდით იუგოსლავიაში ჩვენი ყოფნის დროს.

დღეს სულით და გულით გისურვებთ კარგად და სასარგებლოდ გაატაროთ დრო ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში. ჩვენ ყოველივეს გავაკეთებთ, რათა თავი ისე იგრძნოთ, როგორც თქვენს ახლობელ მეგობართა შორის.

მოსკოვში თქვენი ყოფნის პირველმა დღეებმა უკვე დაამტკიცეს, რომ საბჭოთა ადამიანები დიდი სიყვარულით ეპყრობიან იუგოსლავიის ხალხებს. ისინი მათ ეპყრობიან, როგორც ძმებს, როგორც თანამებრძოლებს, როგორც ამხანაგებს კაცობრიობის ყველაზე ნათელი მომავლისათვის — კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

თქვენი ჩამოსვლა ჩვენში, ძვირფასო ამხანაგო ტიტო, დიდი მოვლენაა საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრულ ურთიერთობაში.

უკანასკნელი წლის განმავლობაში ჩვენი იმ შეხვედრებისა და საუბრების შედეგად, რაც თქვენთან ჩვენი ვიზიტის დროს მოეწყო, აღდგენილ იქნა ტრადიციული ძმური მეგობრობა ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის, ჩვენს ხალხებს შორის, რომლებსაც ბევრი საერთო მიზანი და ამოცანა აქვთ.

ბელგრადში ჩვენ ხელი მოვაწერეთ დეკლარაციას, რომლითაც განისაზღვრა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების გზები. ამ შესანიშნავ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია ის უმნიშვნელოვანესი პრინციპები, რომლებზეც ჩვენი ქვეყნების მთავრობები ახლა ავითარებენ თავიანთ ურთიერთობას.

ამ დოკუმენტში აგრეთვე ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური იუგოსლავიის პოზიციები ყველაზე დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებში და განსაზღვრულია მთელი რიგი ღონისძიებანი ჩვენს ორ ქვეყანას შორის შემდგომი თანამშრომლობის დასაწყებად.

ახლა ჩვენ უკვე შეგვიძლია სავსებით გარკვევით განვაცხადოთ, რომ ჩვენი ერთობლივი მეცადინეობის მეოხებით ამ დეკლარაციით დასახული ღონისძიებანი წარმატებით განხორციელდა. ჩვენი ურთიერთობა მნიშვნელოვნად განვითარდა და განმტკიცდა. ეს კარგი საძირკველია პოლიტიკური თანამშრომლობის, ეკონომიური, კულტურული და მეცნიერული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის. ჩვენს მომავალ ხალხებს ახლა ყველა საფუძველი აქვთ ღრმა კმაყოფილების გრძნობას განიცდიდნენ იმ კეთილი ურთიერთობის გამო, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარდა. ეს, უეჭველია, შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა ძირეულ ინტერესებს.

ამასთანავე გაზვიადებული არ იქნება ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციას არა მარტო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობისათვის და მეგობრობის აღდგენისათვის, არამედ ამ ნორმალიზაციამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მთელ საერთაშორისო ცხოვრებაზეც. ჩვენი ახლანდელი ურთიერთობა იუგოსლავიასთან სავსებით ემყარება დიად ლენინურ პრინციპებს. ეს პრინციპებია სხვა სახელმწიფოთა სამშიაო საქმეებში ჩაურევლობა, ამ სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ბევრ საერთაშორისო პრობლემაზე იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირს მსგავსი პოზიციები აქვთ. ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს მივგვაჩნდეს, რომ პოზიციების მსგავსება საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გავაფართოოთ ჩვენი თანამშრომლობა საერთაშორისო საქმეებში, ხოლო ეს, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეს.

წელიწადი, რომელიც გავიდა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის დეკლარაციის ხელმოწერის დღიდან, ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ისტორიაში შევა როგორც ისტორიულ ცვლილებათა და შესანიშნავ საქმეთა წელი.

ყველაზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი ჩვენს ურთიერთობაში ის არის, რომ ჩვენ შეგვიძლია გულახდილად ვუთხრათ ერთმანეთს რასაც ვფიქრობთ, ვიცით რა, რომ ეს სწორად იქნება გაგებული, როგორც კარგ და ერთგულ მეგობრებს შორის. ხოლო რაკი ეს ასეა, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ჩვენი მეგობრობა და თანამშრომლობა კვლავაც გაიზრდება და გაიფურჩქნება ურთიერთგაგებისა და ნდობის მტკიცე ბაზაზე, ლენინური პრინციპების ბაზაზე.

ვსვამ რა სადღეგრძელოს, ვისურვებ, რომ ჩვენი მეგობრობა იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს, რომ ეს მეგობრობა იყოს მარადიული და ურღვევი, რომ ვერაფერმა ვერასოდეს ვერ მიაყენოს მას ჩრდილი, რომ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოების მეგობრობამ ბედნიერება და კეთილდღეობა მოუტანოს ჩვენს ხალხებს.

გაუმარჯოს მეგობრობას! გაუმარჯოს ამხანაგ ტიტოს — იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს! გაუმარჯოს მეგობარს, ლენინელს, ჩვენს მებრძოლ ამხანაგს!

გაუმარჯოს ჩვენს ძვირფას მეგობრებს!

საპასუხო სიტყვაში ამხანაგმა იოსიპ ბროზ ტიტომ თქვა:

ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ!
ძვირფასო ამხანაგებო!

მე მინდა უწინარეს ყოვლისა კვლავ ხაზგასმით აღვნიშნო, რაოდენ აღსავსენი ვართ ჩემი ამხანაგები და მე გულწრფელი მადლობის გრძნობით გულითადი და გულთბილი პატივისათვის, რომელიც მოგვიწყეთ მეგობრულ საბჭოთა ქვეყანაში. როგორც ხელმძღვანელ ადამიანებთან, ისე ხალხის ფართო ფენებთან შეხვედრის დროს ჩვენ ვხედავდით მეგობრობისა და ყურადღების თანაბარ გამოხატულებას. თქვენი სიტყვები, ამხანაგო თავმჯდომარევ, მიმართული ჩვენი ქვეყნისა და მისი ხალხებისადმი, აგრეთვე პირადად ჩემდამი, ახალი დადასტურებაა მეგობრული გრძნობებისა, რომლებითაც ჩვენ აქ შეგვხვდნენ, და მე ერთხელ კიდევ ვხედავ ძალიან მადლობას გიძღვნით ამისათვის.

თქვენს წრეში გატარებულმა ამ რამდენიმე დღემ საშუალება მოგვცა გავცნობოდით საბჭოთა კავშირის ხალხთა ზოგიერთ დიდ მიღწევებს მათი საწარმოო ძალების განვითარებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში. ვრცელი, სანიმუშოდ დამუშავებული მინდვრები, თანამედროვე მექანიზაციის გამოყენების აშკარა დადასტურებით, უდიდესი მშენებლობა და თქვენი დედაქალაქის — მოსკოვის ახალი, მშიაროული იერი, ჩინებულად მოწყობილი და ვრცელი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა და მუდმივი სამრეწველო გამოფენა მისი სამრეწველო განყოფილებებით და სამეცნიერო პავილიონებით მხოლოდ ნაწილია თქვენი შრომისა, რომლის შედეგებს ჩვენ უშუალოდ გავეცნობით მხოლოდ იმ მდიდარი პროგრამის ფარგლებში, რომლითაც გათვალისწინებულია ჩვენი ყოფნა თქვენს ქვეყანაში. ბაგრამ უკვე იმან, რაც ვნახეთ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ყოველივე ეს მოწმობს საბჭოთა ადამიანებისა და საბჭოთა მთავრობის შემოქმედებითსა და ნაყოფიერ მეცადინეობას, რომელიც გამოიხატება ახალი ღონისძიებებით და პერსპექტივებით, რაც ისახება თქვენი მეექვსე ხუთწლიანი გეგმით.

ეს ჩვენი შთაბეჭდილებანი უფრო სრულ შინაარსს ანიჭებენ მადლიერების გრძნობას, რომლითაც იუგოსლავიის ხალხები ადევნებენ თვალს საბჭოთა კავშირის როგორც ხალხის, ისე მთავრობის მისწრაფებებს იმ საქმეში, რომ ახალი პირობები შეექმნას ხალხთა შორის ურთიერთობაში. შეუძლებელია სადავოდ გავხადოთ ის, რომ საბჭოთა მთავრობის ინიციატივამ უკანასკნელი წლების განმავლობაში არსებითად შეუწყო ხელი დაძაბულობის შენელებას მსოფლიოში. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ცალკეული ქვეყნების პასუხისმგებელმა ხელმძღვანელებმა განაახლეს პირადი კონტაქტები, და მე სავსებით ვიზიარებ თქვენს აზრს იმის შესახებ, რომ პირადმა კონტაქტებმა და აზრთა უშუალო გაზიარებამ, რაც განხორციელდა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის ჩვენს ქვეყანაში ვიზიტის დროს, კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებაზეც.

საბჭოთა კავშირის მისწრაფება იმისადმი, რომ მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით გადაიჭრას სადავო საკითხები, დამყარდეს თანამშრომლობა ყველა ქვეყანას შორის, მიუხედავად არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიური

(დასასრული მე-2 გვერდზე)



იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხანაგი იოსიპ ბროზ ტიტო მოსკოვში. 3 ივნისს ამხანაგმა იოსიპ ბროზ ტიტომ და მისმა თანმხლებმა პირებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად ინახულეს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა და სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენა. სურათზე (პირველ რიგში): **იოსიპ ბროზ ტიტო** მეუღლითურთ, **კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი** და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორი აკადემიკოსი **ნ. ვ. ციცინი.** 4 ივნისს იუგოსლავი სტუმრები ათვალიერებდნენ კრემლს. სურათზე: **იოსიპ ბროზ ტიტო** მეუღლითურთ ვ. ი. ლენინის კაბინეტში კრემლში.

ფოტო ნ. პეტროვისა.

ამხანაგ იოსიფ ბროზ ტიტოს სიტყვის დასასრული

და პოლიტიკური განსხვავებებისა, — არსებითი ნაწილია სულ უფრო ძლიერ გამომჟღავნებული ტენდენციისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობა აშენდეს ახალ საფუძველზე. ყოველივე ამან უკვე მეუწყო ხელი და კიდევ უფრო მეუწყობს ხელს ხალხთა შორის უშუალო და ყოველდღიური კონტაქტების დამყარებას ურთიერთდამოკიდებულების ყველა დარგში, აღკვეთს უნდობლობას, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს როგორც წარსულის შედეგი. ასეთი განვითარება კიდევ უფრო ძლიერად აყენებს პირველ პლანზე იმას, რომ საჭიროა გადაიჭრას უკვე მომწიფებული პრობლემები. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ დაბრკოლებათა აღკვეთას, რომლებიც ჯერ კიდევ უშლიან ხელს თავისუფალ საქონელგაცვლას და უფრო ფართო ეკონომიურ, კულტურულ და საერთო თანამშრომლობას ევროპაში. გარდა ამისა, მე მინდა მოვიხსენიო მხოლოდ განიარაღების პრობლემა, როგორც ერთ-ერთი ისეთი პრობლემა, რომელიც გადაუდებელ გადაჭრას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით იუგოსლავიის ხალხები მიესალმნენ სსრ კავშირის მთავრობის ამასწინანდელ დადგენილებას შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ, მიაჩნიათ რა, რომ ეს დადგენილება ხელს უწყობს საერთაშორისო ნდობის გაძლიერებას და ამით, სხვათა შორის, შესაძლებლობას იძლევა გადაიჭრას საყოველთაო განიარაღების საკითხი გაერთიანებული ერების ფარგლებში.

მე მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იუგოსლავიის ხალხები იმას, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის თავის მხრივ მხარი დაუჭიროს და დახმარება გაუწიოს არასაკმაოდ განვითარებული ქვეყნებისა და ახალი ერების ღონისძიებებს მათი ეკონომიური განვითარების განხორციელებაში. ამ მზადყოფნამ უაღრესად მკაფიოდ გვიჩვენა თანამედროვეობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი. საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების ამ ახალ სტადიაში, რომელიც გამოიწვია დადებითმა ცვლილებებმა საერთაშორისო ატმოსფეროში, ერთი მხრივ გამოიხატა ფაქტი, რომ სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიური და სოციალური პროგრესის გზები სხვადასხვაა, განვითარების სხვადასხვა დონისა და სხვადასხვა პირობების გამო, რომლებშიც ისინი ყალიბდებოდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, ფაქტი, რომ საერთო პროგრესი და სხვადასხვაობის შერბილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საერთაშორისო სოლიდარობისა და თანამშრომლობის სრული განვითარების გზით. ასეთ პირობებში შესაძლებელი იქნება უფრო ეფექტიანად განვავითაროთ და შევათანხმოთ გაერთიანებული ერების ფარგლებში ყველა უკვე არსებული ცდა საერთაშორისო ეკონომიური დახმარებისა და თანამშრომლობისა.

მწამს, რომ თქვენ დამეთანხმებით, რომ იუგოსლავიამ თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთაშორისო ურთიერთობის ამ ახალი პირობების შექმნაში. იგი დამოუკიდებლობისათვის თავისი ბრძოლითაც, მშვიდობისმოყვარული და აქტიური თანაარსებობის და გაერთიანებული ერების როლის გაძლიერების პოლიტიკის დაცვითაც, ეკონომიური დახმარებისა და ეკონომიური თანამშრომლობის ახალი ფორმების განხორციელებისადმი თავისი მისწრაფებითაც უჭერდა მხარს თანამედროვე მსოფლიოს განვითარებაში გამოვლინებულ დადებით ტენდენციებს. ამიტომ იუგოსლავიის ხალხები სრული გაგებითა და სიმპათიებით ადევნებენ თვალყურს თქვენი მთავრობის მისწრაფებებს, რომელიც ცდილობს გამონახოს საერთაშორისო ურთიერთობაში მშვიდობისმოყვარული საშუალებებით სადავო საკითხთა ერთობლივი გადაჭრა და ამით განამტკიცოს მშვიდობა. მშვიდობისადმი და საერთაშორისო თანამშრომლობისადმი მისწრაფების ეს იგივეობა და მარქსის, ენგელსისა და ლენინის იდეებისადმი ერთგულება ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ჩვენს ორ ქვეყანას შორის კიდევ უფრო გაძლიერდეს ყოველმხრივი თანამშრომლობა და მეგობრობა. ღრმად მწამს, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ყოველმხრივი თანამშრომლობა სასარგებლო იქნება ჩვენი ხალხებისათვის და შესაძლებელს გახდის აზრებისა და გამოცდილების გაზიარებას, რომელსაც შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს სოციალიზმის განვითარებას.

ამრიგად, ვსვამ ამხანაგ ბულგანინის და დანარჩენი ხელმძღვანელი საბჭოთა ამხანაგების სადღეგრძელოს, ვისურვებ საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის მეგობრობის შემდგომ განვითარებას ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ და მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის. (საკდესი).

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ მოსკოვის კრემლი დაათვალიერა

4 ივნისს ამინდმა კვლავ გაახარა მოსკოველები. ცა მოწმენდილი იყო, მზე კაშკაშებდა. იგი აშუქებდა კრემლის ტაძრების ოქროს გუმბათებს, ექსკურსანტების მხიარულ, მზით გარუჯულ სახეებს. ექსკურსანტები გულთბილად და გულითადად მიესალმნენ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს იოსიპ ბროზ ტიტოს კრემლში.

პრეზიდენტმა ტიტომ ინახულა ვ. ი. ლენინის სამუშაო კაბინეტი და ბინა კრემლში. მან და მისმა თანამგზავრებმა ყურადღებით, დიდი ინტერესით დაათვალიერეს ოთახები და მოისმინეს ექსკურსიამძღოლის ნაამბობი. ამხანაგმა ტიტომ თავის მეგობრებთან საუბარში შენიშნა:

— დიდი ხანია მსურდა აქ მოსვლა. მე ვიყავი გორკი ლენინსკიეში და ლენინის ხსოვნასთან დაკავშირებულ სხვა ადგილებში.

შთაბეჭდილებათა წიგნში პრეზიდენტმა ტიტომ შემდეგი ჩანაწერი გააკეთა:

„დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე დიდი ლენინის უბრალო ცხოვრებამ, თვითეულმა კომუნისტმა უნდა ისარგებლოს არა მარტო მისი მოძღვრებით, არამედ მაგალითი აიღოს მისი პირადი ცხოვრებიდან“.

შემდეგ იუგოსლავმა სტუმრებმა გაიარეს მოსკოვის კრემლის ტერიტორია, დაათვალიერეს მისი ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები, ინახულეს მთავარანგელოზის ტაძარი. პრეზიდენტი ტიტო ესაუბრა ექსკურსანტებს, რომლებიც კრემლს ათვალიერებდნენ.

იუგოსლავიის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა ცოცხალი ინტერესით დაათვალიერეს საჭურვლის პალატის უმდიდრესი კოლექციები. დათვალიერების შემდეგ საჭურვლის პალატის დირექტორმა ა. მ. ანდრეევმა იოსიპ ბროზ ტიტოს მიართვა მეცნიერული შრომა — აქ არსებული ექსპონატების აღწერა, რომელიც მუზეუმის თანამშრომლებმა შეადგინეს.

ამხანაგმა ტიტომ გულითადი მადლობა გადაუხადა ექსკურსიამძღოლ ლ. ი. კუნიცკაიას და საჭურვლის პალატის დირექტორს და თქვა, რომ კიდევ ინახულებს კრემლს.

შთაბეჭდილებათა წიგნში ამხანაგმა ტიტომ შემდეგი ჩაწერა:

„დიდი ყურადღებით დავათვალიერე საჭურვლის პალატის ექსპონატები, რომლებიც მოწმობენ რუსი ხალხის დიდ, მაგრამ ამავე დროს მძიმე წარსულს“.

პრეზიდენტ იოსიპ ბროზ ტიტოს ახლდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ველკო მიჩუნოვიჩი, სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიაში ნ. პ. ფირიუბინი, არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი პ. ნ. კორობოვა, მოსკოვის კრემლის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. ვედენინი.

ამხანაგ ტიტოსთან და მის თანმხლებ პირებთან ერთად მოსკოვის კრემლი დაათვალიერეს საბჭოთა და უცხოელმა ჟურნალისტებმა. (საკდესი).

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო დიდ თეატრში

4 ივნისს საღამოს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ მეუღლითურთ და მისმა თანმხლებმა პირებმა — საკავშირო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნებმა, სსრ კავშირის მარშალებმა, სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში ნახეს ა. კრეინის ბალეტი „ლაურენსია“.

როცა სტუმრები მოვიდნენ დიდ თეატრში, ცენტრალურ შესასვლელთან შეიკრიბა ათასობით მოსკოველი. ისინი მჭუხარე ტაშითა და მისალმების შეძახილებით შეხვდნენ იუგოსლავ ამხანაგებს.

დიდ თეატრში სპექტაკლს დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი მეუღლითურთ, ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ე. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, იუგოსლავიის ელჩი სსრ კავშირში ველკო მიჩუნოვიჩი, სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიაში ნ. პ. ფირიუბინი და სხვა ოფიციალური პირები.

დარბაზში მყოფი მაყურებლები ფეხზე ამდგარნი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკიდან ჩამოსულ სტუმრებს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, როცა ისინი ლოჟაში შემოვიდნენ. (საკდესი).

წერილების გაცვლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვსა და დიდი ბრიტანეთის დედოფალს ელისაბედ II-ეს შორის

დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ II-ის დაბადების დღის — 31 მაისის დღესასწაულის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა დედოფალ ელისაბედ II-ეს გაუგზავნა მისალოცი დეპეშა.

დედოფალ ელისაბედ II-საგან მიღებულია საპასუხო წერილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის სახელზე.

ქვემოთ ქვეყნდება წერილების ტექსტები.

მის უდიდებულესობას ელისაბედ II-ეს, დიდი ბრიტანეთის დედოფალს

მიიღეთ, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენი დაბადების დღის გამო, ჩემი გულითადი მოლოცვა და საუკეთესო სურვილები პირადად თქვენდამი და ბრიტანელი ხალხისადმი.

მოხარული ვარ აღვნიშნო, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის ამასწინანდელი შეხვედრა პირადად თქვენთან და თქვენი მთავრობის ხელმძღვანელებთან მოასწავებს საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ სამეფოს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა განვითარდება ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით, ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტერესებისათვის და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

კ. ვოროშილოვი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 30 მაისი.

საგჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

ჩემთვის დიდად სასიამოვნო იყო თქვენი აღმატებულების კეთილი მოლოცვის მიღება ჩემი დაბადების დღის დღესასწაულის გამო, და გულითადად ვიზიარებ თქვენს კეთილ სურვილებს. ბედნიერი ვიყავი შევხვედროდი ბ-ნ ბულგანინს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, და ბ-ნ ხრუშჩოვს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს, მათი ამასწინანდელი ვიზიტის დროს დიდ ბრიტანეთში. სავსებით ვიზიარებ მეგობრულ გრძნობებს, რომლებიც თქვენ გამოთქვით ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარების შესახებ.

დედოფალი ელისაბედ

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე კიმ ირ სენი

5 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო მოსკოვში მყოფი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე კიმ ირ სენი, რომელიც ბერლინში მიემგზავრება.

კიმ ირ სენს ახლდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ნამ ირი და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლი სან ჩო.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელეები.

ნ. ა. ბულგანინსა და კიმ ირ სენს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

მოსკოვში ჩამოვიდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელიც გერმანიში მიემგზავრება

4 ივნისს მოსკოვში ჩამოვიდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელიც ბერლინში მიემგზავრება. დელეგაციას მეთაურობს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე კიმ ირ სენი. მასთან ერთად ჩამოვიდნენ კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პაკ დენ აი, საგარეო საქმეთა მინისტრი ნამ ირი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ლი ჯონ ოკი, თეგზის მრეწველობის მინისტრი ჯუ ხვან სობი, ჩრდილოეთ კორეის დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კო ჯუნ თხეკი და სხვა პირები. კორეელ სტუმრებთან ერთად ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში რიჰარდ ფიშერი.

ცენტრალურ აეროდრომზე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ: ამხანაგები ა. ი. მიქოიანი, ლ. ი. ბრეჟნევი, ე. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, სსრ კავშირის საგელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ჰ. ბაგრამიანი და სხვა ოფიციალური პირები.

დელეგაციას აგრეთვე შეხვდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლი სან ჩო და მთელი რიგი საელჩოების მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან მოსკოვში.

ა. ი. მიქოიანი და აეროდრომზე შეკრებილი სხვა ამხანაგები გულთბილად მიესალმნენ კორეის მთავრობის დელეგაციის წევრებს. (საკდესი).

გაიხსნა 1956 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენები

4 ივნისს მოსკოვში გაიხსნა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა და მის ტერიტორიაზე განლაგებული სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენა.

დილის 9 საათიდან მთავარ შესასვლელთან მოდის მრავალი ექსკურსანტი. ავტობუსებს გაწუწუვეტლივ მოჰყავდა სულ ახალი და ახალი ჯგუფები. აქ შეიძლება ვნახოთ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ხალხთა წარმომადგენლები.

დილის 10 საათზე ადგილობრივი რადიოთი სტუდია წარმოთქვა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორმა აკადემიკოსმა ნ. ვ. ციცინმა. იგი მიესალმა ექსკურსანტებს გამოფენის მუშაობის განახლების გამო, აღნიშნავა იმაზე, თუ ახალი რა არის წარმოდგენილი წელს გამოფენაზე.

შემდეგ რადიოთი გამოვიდა სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენის დირექტორი ამხ. ვ. ე. ნოვაკოვსკი. მან თქვა, რომ სამრეწველო გამოფენა პროპაგანდას გაუწევს მოწინავე საწარმოო გამოცდილებას, ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიას.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ხმები პავილიონებზე აღმართეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ალმები.

ექსკურსანტებითა და მნახველებით გაივსო პავილიონები.

წელს ექსკურსანტებისათვის გამოფენის ჩვენების წესი რამდენადმე შეცვლილია. მთავარი ყურადღება ექცევა იმას, რომ მათ თემატიკურად ღრმად შეისწავლონ მოწინავე გამოცდილება და მეცნიერების მიღწევები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად დარგებში.

ექსკურსანტების მეტი წილი ჯგუფებისათვის გამოფენის მუშაკთა დახმარებით შედგენილია გამოფენაზე წარმოდგენილი მოწინავეთა გამოცდილების შესწავლის გეგმები. ამასთან გათვალისწინებულია ექსკურსანტების სპეციალობა და იმ სამუშაოს ხასიათი, რომელსაც ისინი ასრულებენ.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ინდუსტრიული ძლიერება მკაფიოდ არის ასახული სამრეწველო გამოფენის 20 პავილიონში. ორმოცზე მეტმა სამინისტრომ და უწყებამ წარმოადგინა აქ ექსპონატები, რომლებიც მოწმობენ ჩვენს მიღწევებს მეცნიერებასა და ტექნიკაში, მრეწველობის განვითარებაში.

მანქანათმშენებლობის პავილიონის ვიტრინებთან შეწყობაში მნახველები ეცნობიან უახლეს მანქანებს, ენერგეტიკულ მოწყობილობას, ხელსაწყოებს, ინსტრუმენტს. აქ ნაჩვენებია შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმანახშირის მრეწველობის მიღწევები.

მნახველები კარგი აზრის არიან ექსპონატებად გამოფენილი ახალი მსუბუქი ავტომობილების „ვოლგისა“ და „მოსკვიჩის“ შესახებ, მაგრამ ამასთან გამოთქვამენ სურვილს, რომ რაც შეიძლება მალე მოეწყოს მათი სერიული წარმოება.

ელექტროტექნიკური და რადიოტექნიკური მრეწველობის მუშაკები უჩვენებენ რთულ ელექტრომანქანებსა და აპარატურას, ახალი მოდელების რადიომიმღებებსა და ტელევიზორებს.

ბევრმა მოსკოველმა და ჩამოსულმა გადაწყვიტა პირველ რიგში ენახა პავილიონი „ატომის ენერგია მშვიდობიანი მიზნებისათვის“. ისინი დილიდანვე შეეფინენ ამ პავილიონის დარბაზებში. აქ არის მოქმედი რეაქტორი, ატომის ყინულმჭრელის მოდელი და სხვა საინტერესო ექსპონატები.

• • •

4 ივნისს გამოფენაზე ათეულ ათასობით მნახველი იყო. (საკდესი).

პრესის მიმოხილვა

ერთგული მეგობრობა

მეჯი ქვანახშირის საბადოსათვის

ტყიბულელი მეშახტეები თავდადებით იბრძვიან პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ქვანახშირის მოპოვების მკვეთრად გადიდებისათვის, ახალი ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

სერიოზული ამოცანებია დასახული ტყიბულქვანახშირის ტრესტის კოლექტივის წინაშე მეექვსე ხუთწლედში, რომლის განმავლობაში მან ქვანახშირის ამოღება 45,5 პროცენტით უნდა გაადიდოს. ამ საპატიო და დიდმნიშვნელოვანი დავალების ვადამდე წარმატებით განხორციელებისათვის ტყიბულელი მეშახტეები ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას. ტყიბულის შახტებში ფართო გამოხმაურება ჰპოვა ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის კოლექტივის მიმართვამ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. სტალინის სახელობის შახტის კოლექტივის მაგალითისამებრ ყველა შახტში გაჩაღდა ბრძოლა ადგილობრივი რეზერვებისა და საშუალებების გამოვლინებისათვის. შახტების კოლექტივები კისრულობენ ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა პირნათლად განაღდებისათვის.

ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის მეშახტეთა თავდადებულ შრომას ფართოდ ასახავს თავის ფურცლებზე რაიონული გაზეთი „ტყიბულის მაღაროელი“. თითქმის ყოველ ნომერში გაზეთი ბეჭდავს მასალებს ცალკე შახტების, უბნების, ბრიგადების, ცვლების, რიგითი მეშახტეების შრომითის საქმეებზე, საწარმოო დავალებათა წარმატებით განაღდებისათვის პირველადი პარტიული ორგანიზაციების შეუპოვარ ბრძოლაზე.

გაზეთი ფართოდ ეწევა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას, მეშახტეებს აცნობს როგორც ტრესტის, ისე თვითეული შახტის წინაშე მდგომ ამოცანებს ახალ ხუთწლედში.

„მთელი ძალები — პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას“ — ასეთი საერთო სათაურით „ტყიბულის მაღაროელმა“ გამოაქვეყნა საინტერესო მასალები ლენინის სახელობის, სტალინის სახელობის და გელათის შახტების შესახებ, რომლებშიც მოთხრობილია იმ მუშაობაზე, რასაც იქ ეწევიან ქვანახშირის ამოღების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის. სტალინის სახელობის შახტის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის მოადგილე მ. ჩერქეზიშვილი წერს:

„შახტში ხუსტი ტექნიკური კონტროლის განხორციელების შედეგად მივიღწიეთ იმას, რომ მარტის 22 დღეში 0,60 პროცენტით შევამცირეთ ქვანახშირის ნაცრიანობა. ქვანახშირის ხარისხისათვის ბრძოლაში დიდი წვლილი შეაქვთ სამთო საქმის ოსტატებს. ისინი ზუსტად იცავენ ტექნიკურ წესებს, ატარებენ ნაცრიანობის შემცირებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს“.

გაზეთი ყურადღებით ეკიდება აგრეთვე რაციონალიზატორთა წინადადებებს, იბრძვის მათი გავრცელებისა და დანერგვისათვის.

ტყიბულელი მეშახტეები ეჯიბრებიან უკრაინის სსრ „ალექსანდრიაუგოლის“ ტრესტის კოლექტივს. ორი მოძმე რესპუბლიკის მეშახტეებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ, ისინი თავიანთი მუშაობის გამოცდილებას ერთმანეთს უზიარებენ მიწერ-მოწერით, ადგილობრივ გაზეთებში მოთავსებული შემცველი გვერდების მეშვეობით. ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების შემოწმებისათვის ქართველი მეშახტეები ხშირად ჩადიან უკრაინაში, ხოლო უკრაინელები — საქართველოში. თებერვალში „ტყიბულის მაღაროელმა“ მოათავსა ალექსანდრიის რაიონულ გაზეთ „სტალინსკი პრაპორის“ რედაქციის მიერ მომზადებული მასალები, რომლებითაც ტყიბულელი მეშახტეები გაეცნენ უკრაინელი მეშახტეების მუშაობის მოწინავე გამოცდილებას, მათს საწარმოო წარმატებებს. ასეთი მასალების გამოქვეყნებით გაზეთი ქმედითად ეხმარება ტყიბულელ მეშახტეებს მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში, ზრდის მათ ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, რაზმავს ახალი წარმატებების მოპოვებისათვის.

გაზეთი საქმიანად ეწევა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას. ამ თემაზე გამოქვეყნებულ მასალებს შორის ყურადღებას იპყრობს სტალინის სახელობის შახტის მეხუთე საექსპლოატაციო უბნის ცვლის უფროსის ს. ცირკიძის წერილი „უფრო მეტი ქვანახშირისათვის ცვლაში“, რომელიც მოგვითხრობს მოწინავე ცვლის გამოცდილებაზე, მისი მუშაობის მეთოდებზე. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი „ტყიბულის მაღაროელი“ ნაკლებად იზიდავს გაზეთის მუშაობაში წარმოების მოწინავეებს, იშვიათად აქვეყნებს მოწინავე მეშახტეების, ბრიგადირების, ცვლის უფროსების წერილებს მათი მუშაობის გამოცდილებაზე. ასეთი წერილების რაც შეიძლება ხშირად გამოქვეყნება კი დიდ დახმარებას გაუწევდა მეშახტეებს პროფესიების დაუფლებაში, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებაში, ქვანახშირის ამოღების გადიდებაში.

ქვანახშირისათვის ბრძოლის საკითხებზე გაზეთში გამოქვეყნებული წერილებისა და კორესპონდენციების ავტორების დიდი უმრავლესობა ტრესტის, შახტების ხელმძღვანელი მუშაკები არიან. ეს, რა თქმა უნდა, ცუდი არ არის, მაგრამ გაზეთში უფრო ნაკლებად ვხვდებით რიგითი ადამიანების — მნგრეველების, მებიგეების, ამწეხელების, მიწისქვეშა ტრანსპორტის მუშაკების წერილებს. უდავოა, რომ მათ გაზეთის საშუალებით მრავალი საინტერესო და სასარგებლო საკითხის დაყენება შეუძლიათ. „ტყიბულის მაღაროელმა“ ამ მიმართულებით მკვეთრად უნდა გააძლიეროს მუშაობა. რედაქციამ თავის გარშემო უნდა შემოიკრიბოს მუშა-კორესპონდენტთა ფართო აქტივი, რაც უფრო გაზრდის გაზეთის ავტორიტეტს, უფრო ქმედითს გახდის მის კრიტიკას.

ახლა გაზეთ „ტყიბულის მაღაროელის“ მთავარი ამოცანაა კონკრეტული მაგალითებით უჩვენოს მშრომელებს მეექვსე ხუთწლედის სიდიადე, ქმედითი მასალებით ხელი შეუწყოს მეშახტეთა ინიციატივის და აქტივობის შემდგომ გაფართოებას, დაეხმაროს მათ მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირის ამოღებისათვის ბრძოლაში.

მომავალ პედაგოგებთან

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ჩვენი რესპუბლიკის სკოლებისათვის ამზადებს კვალიფიციურ კადრებს. მომავალი პედაგოგების ყოველმხრივ მომზადების მიზნით ინსტიტუტში იკითხება მოხსენებები, ეწყობა სამეცნიერო სესიები, საღამოები, შეხვედრები, კონფერენციები და სხვ.

სასწავლო დისციპლინების უკეთ შეთვისებას ხელს უწყობენ ლაბორატორიები და კაბინეტები, სხვადასხვა სახელოსნოები.

პოლიტექნიკური სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით ფიზიკის სექციაზე შემოღებულ იქნა ახალი საგნები: ავტოსატრაქტორო საქმე, ელექტროტექნიკა, რადიოტექნიკა, სასწავლო კინოს მეთოდიკა და მთელი რიგი ფაკულტატური საგნები — სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები და სხვ. მოწყობილია ქიმიის, ზოგადი ფიზიკის, ელექტროტექნიკის, რადიოტექნიკის, სპეციალური ფიზიკური პრაქტიკუმისა და ფიზიკის სწავლების მეთოდიკის ლაბორატორიები, ბოტანიკისა და ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდიკის კაბინეტი. წელს მოწყობილ იქნა ახალი სახელოსნო, სადაც სტუდენტები ეუფლებიან ხის, ლითონისა და მინის დამუშავებას, ამზადებენ სხვადასხვა სახის ხელსაწყოებს.

ინსტიტუტს აქვს საცდელი ნაკვეთი, რომელიც წარმოადგენს ბაზას ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდიკისათვის. აქ სტუდენტები მუშაობენ პიონერულ და სხვა მცენარეთა შეჯვარებაზე, აყენებენ სხვადასხვა ცდებს.

დიდი ყურადღება ექცევა თეორიული ცოდნის გაღრმავებას. სასწავლებელში ამას წინათ გაიმართა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც წაკითხულ იქნა 59 მოხსენება. სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ტალინის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში, სადაც წაიკითხეს ხუთი მოხსენება.

ინსტიტუტი შეფობას უწევს თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთს. იქ მოეწყო გამსვლელი სამეცნიერო სესია მოსწავლეთა აღზრდის საკითხებზე. ასურეთის საშუალო სკოლას ინსტიტუტმა გაუგზავნა ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების ხელსაწყოები, სოფლის ბიბლიოთეკას — მხატვრული ლიტერატურა. თავის მხრივ სამეფო სოფლის კოლმეურნეებმა ინსტიტუტს გამოუგზავნეს სხვადასხვა სახის სასუქები და მცენარეთა ნერგები საცდელი ნაკვეთისათვის.

მრავალი ღონისძიება ხორციელდება სტუდენტთა კულტურული დასვენებისათვის. ეწყობა კითხვა-პასუხის, მეგობრობის, დასვენების, ღია კარების საღამოები, შეხვედრები, კონცერტები და სხვ.

პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ აღზრდილი ბევრი მასწავლებელი ამჟამად თავდადებით შრომობს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში. წელს სასწავლებელი ჩვენს ქვეყანას მისცემს 365 სპეციალისტს.

ც. ვაჭარაძე.

მთელი ძალები სძკა XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად

საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობა მეექვსე ხუთწლედში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ შეიმუშავა მთელი სოციალისტური სახალხო მეურნეობის, კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარების გრანდიოზული პროგრამა. მეექვსე ხუთწლიანი ამ პროგრამის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივები ითვალისწინებენ 1960 წელს მარცვლეულის საერთო მოსავლის აყვანას 11 მილიარდ ფუთამდე, ამასთან ხუთწლედის განმავლობაში ტექნიკური კულტურების, პარტოფილის, ბოსტნეულის პროდუქციის და მეცხოველეობის პროდუქციის მკვეთრად გადიდებას. მნიშვნელოვნად ამაღლდება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე. 1956-1960 წლებში სოფლის მეურნეობა მიიღებს ახალ ტრაქტორს 1.650 ათას ტრაქტორს 5-ძალიანზე გადაყვანით, მათ შორის 80 ათას სათოხნ ტრაქტორს, 560 ათას მარცვლეულის კომბაინს, აგრეთვე სიმინდის მოსავლისა და სასილოსე მწვანე მასის ასაღებ 250 ათას კომბაინს. ამასთან მიზნად არის დასახული ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულზე პროდუქციის გამოსავლის ოთხკრად გადიდება შრომისა და სახსრების მინიმალური ხარჯვით. კიდევ მეტი უნდა ამაღლდეს და განმტკიცდეს მტს-ების ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი საკოლმეურნეო სოციალისტური მეურნეობაში.

სსრ კავშირის სოციალისტური სოფლის მეურნეობის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს სს რესპუბლიკის მრავალდარგოვან და მაღალინტენსიურ სოფლის მეურნეობას. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა აწარმოებს ძვირფას სხვადასხვანაირ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და ნედლეულს, რომელზეც უდიდესად მზარდ მოთხოვნილებას ქვეყნებს მშრომელი მოსახლეობა და ინდუსტრიული მრეწველობა. სოფლის მეურნეობის წარმოების მუშაკთა სპატიო ამოცანაა უზრუნველყონ სოციალისტური სოფლო-სამეურნეო საერთო და სასაქონლო პროდუქციის სერიოზული ზრდა.

ტექნიკის მაღალნაყოფიერად გამოყენება სოფლის მეურნეობის ძველა დარგის მძლავრი განვითარების გადამწყვეტი ძალაა

გენიალური ლენინი გვასწავლიდა, რომ „სოციალიზმის ერთადერთი მატერიალური საფუძველი შეიძლება იყოს მსხვილი მანქანური მრეწველობა, რომელსაც ძალუძს მიწათმოქმედების გარდაქმნა“. კომუნისტური პარტიამ წარმატებით განახორციელა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და ამ საფუძველზე სოფლის მეურნეობა აღჭურვა პირველხარისხოვანი ტექნიკით.

წინამდელ დონესთან შედარებით 1954 წლისათვის სატრაქტორო პარკის სიმძლავრე გაიზარდა 2,5-ჯერ, სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობა 836 ათას ჰექტარიდან გადიდდა 2.534 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1955 წელს 2.774.300 ჰექტარამდე. მტს-ების მუდმივი მექანიზატორული და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებასთან ერთად ამაღლდა მათი როლი საკოლმეურნეო წარმოებაში. უკანასკნელ ორ წელიწადში მექანიზებულ სამუშაოთა საერთო მოცულობა 9,7 პროცენტით გადიდდა. 15-ძალიან ტრაქტორზე დატვირთვა (რბილ ხვნაზე დაყვანით) მნიშვნელოვნად გაიზარდა და 1955 წელს შეადგენდა 373 ჰექტარს. მთელი რიგი მოწინავე მტს-ები ახლა მოსავალს 12-14 დღეში იღებენ ნაცვლად 20-30 დღისა. რესპუბლიკის სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვნად იყენებენ ელექტროენერგიას, რომელიც დიდად აჩქარებს სამეწარმეო პროცესებს და ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების მკვეთრად ზრდას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო მტს-ების მუშაობის ხარჯების მტს-ების სამუშაოთა ნატურალური ანაზღაურების წესით მიღებულ ცენტნერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. 1956 წლიდან დაიწყება მანქანა-ტრაქტორთა სადგურების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე.

სოციალისტური მიწათმოქმედება და საზოგადოებრივი მეცხოველეობა ახალი აღმავლობის გზაზე

კომუნისტური პარტია გვასწავლის, რომ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გაუდიდებლად ვერ განვითარდება ვერც მეცხოველეობა, ვერც სოფლის მეურნეობის სხვა დარგები. შარშან რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა 1953 წელთან შედარებით გადიდდა 15,7 პროცენტით, მათ შორის სიმინდისა — 25 პროცენტით. მეექვსე ხუთწლედში მარცვლეულის წარმოება 1955 წელთან შედარებით უნდა გაიზარდოს 1,3-ჯერ. ეს იმას ნიშნავს, რომ 1960 წლისათვის მთლიანად რესპუბლიკაში მარცვლეულის საერთო მოსავალი აყვანილ იქნას 62 მილიონ ფუთამდე.

მარცვლეულის წარმოების გადიდების უდიდეს რეზერვს წარმოადგენს ისეთი ძვირფასი დიდმოსავლიანი კულტურა, როგორიც სიმინდია. სიმინდის ფართობი მეექვსე ხუთწლედში კოლმეურნეობებში აყვანილ უნდა იქნას 280 ათას ჰექტარამდე და მისი საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე გადიდდება 23 ცენტნერამდე. საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ ნაწვერალზე სიმინდის თესვა, რაც 1955 წელს 36.600 ჰექტარს შეადგენდა. მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს აგრეთვე ხორბლის მოსავლიანობა.

ამ მიზნით ფართოდ დაინერგება თესვის პროგრესული მეთოდები. სიმინდი დიდ ფართობზე დაითესება კვადრატულ-ბუდობრივი წესით, თავთავიანი მარცვლეული კულტურები დაითესება ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად.

საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წამყვანი დარგია ჩაის მეურნეობა. საქართველო საბჭოთა კავშირის ჩაის ძირითადი მწარმოებელი ბაზაა. საქართველო იძლევა ჩვენი ქვეყნის ჩაის მთელი პროდუქციის 97 პროცენტს. ამჟამად რესპუბლიკაში ჩაის ნარგავებს 66.000 ჰექტარი უკავია.

1955 წელს ჩაის ხარისხოვანი ფოთლის საერთო მოსავალი შეადგენდა 117.453 ტონას ნაცვლად 1950 წლის 83,7 ათასი ტონისა. 1960 წელს საქართველოში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოება აყვანილ უნდა იქნას 165 ათას ტონამდე. თუ 1955 წელს რესპუბლიკაში საშუალოდ ჰექტარზე ჩაის მოსავლიანობამ შეადგინა 2.723 კილოგრამი 1960 წელს იგი 3.000 კილოგრამს გადააჭარბებს.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ამჟამად 61 ჩაის ფაბრიკაა, რომელთაც შეუძლიათ 140 ათასი ტონა ნედლეულის გადამუშავება. შარშან მრეწველობამ გამოუშვა 28.680 ტონა ბაიხის ჩაი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 26.765 ტონისა. მათ შორის უმაღლესი ხარისხისა 5.869 ტონა ნაცვლად 5.579 ტონისა, პირველი ხარისხისა 7.367 ტონა ნაცვლად 6.818 ტონისა.

მეექვსე ხუთწლედში დამატებით აშენდება 6 ჩაის ფაბრიკა.

გარდა ამისა ჩაის ფოთლის დამხარისხებელი სარაიონთაშორისო ფაბრიკები აშენდება მახარაძის, ზუგდიდის რაიონებსა და აჭარის ასს რესპუბლიკაში.

რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია მევენახეობა. მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 15 ათასი ჰექტარი ვენახების გაშენება. როგორც საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობაზე იყო აღნიშნული, რესპუბლიკაში ყოველწლიურად უნდა გაშენდეს სულ ცოტა 3.000 ჰექტარი ვენახი. ამავე დროს საჭიროა მკვეთრად გადიდდეს მოსავლიანობა.



ვენახების ფართობების ზრდასთან ერთად იზრდება მოსავლიანობა. 1940 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე მიღებული იყო 25,2 ცენტნერი ყურძენი, 1949 წელს — 42,8 ცენტნერი, 1954 წელს — 50,4 ცენტნერი. 1955 წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 113.394 ტონა ყურძენი. 1960 წლისათვის ვენახების ფართობი აყვანილ იქნება 72 ათას ჰექტარამდე და ყურძნის დამზადება და შესყიდვა დიდად გაიზრდება.

მებაღეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი და უმნიშვნელოვანესი დარგია. თუ 1913 წელს ციტრუსოვანთა ნარგავების საერთო ფართობი მხოლოდ 160 ჰექტარი იყო, ამჟამად იგი შეადგენს 15.500 ჰექტარს. შარშან კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 334.872.000 ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი. მეექვსე ხუთწლედში მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი გაშენდება 6.000 ჰექტარზე.

ქართულ თამბაქოს თავისი მაღალი ხარისხით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის თამბაქოს მრეწველობაში და მასზე დიდი მოთხოვნილებაა. საქართველოში მოჰყავთ ისეთი ძვირფასი ჯიშის თამბაქო, როგორიც არის სამსუნი და ტრაპიზონი.

1960 წელს თამბაქოს წარმოება 21.000 ტონას მიაღწევს.

1960 წელს უზრუნველყოფილ უნდა იქნას სულ მცირე 20 ათასი ტონა კარტოფილის, 50 ათასი ტონა ბოსტნეულის, 5 ათასი ტონა აბრეშუმის პარკის დამზადება და შესყიდვა.

მეექვსე ხუთწლედში სერიოზული ყურადღება ექცევა წყალთა მეურნეობის სამუშაოებს. განხორციელდება სარწყავი ქსელის მშენებლობა 40 ათას ჰექტარ ფართობზე და ამოსაშრობი ქსელისა 10 ათას ჰექტარზე. დამთავრდება ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა.

სოციალისტური მიწათმოქმედება მხარდამხარ რესპუბლიკაში ფართოდ განვითარდება, განსაკუთრებით უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, საზოგადოებრივი მეცხოველეობა და იზრდება მისი პროდუქტიულობა. მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დიდი ამოცანებია დასახული მეცხოველეობის განვითარებაში. ხუთწლედში ხორცის წარმოება 1955 წელთან შედარებით უნდა გაიზარდოს 1,7-ჯერ, რძისა — 2-ჯერ, მატყლისა — 1,4-ჯერ, აბრეშუმის პარკისა — 1,3-ჯერ. ამრიგად, 1960 წელს მიღებულ უნდა იქნას საერთო პროდუქცია: ხორცისა — 145 ათასი ტონა, რძისა — 771 ათასი ტონა, მატყლისა — 4.500 ტონა, კვერცხისა — 675 მილიონი ცალი.

1955 წელს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა პირველ წარმატებებს მიაღწიეს მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში. სერიოზული ყურადღება ექცევა მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. 1960 წელს კოლმეურნეობებში საკვები კულტურების ნათესი ფართობი აყვანილ იქნება სულ მცირე 110.000 ჰექტარამდე, სილოსის დამზადება 1,5 მილიონ ტონამდე.

უკანასკნელ ორ წელიწადში რესპუბლიკაში შემოყვანილია 17 ათასამდე ჯიშიანი ძროხა და დეკეული. გასულ წელს კოლმეურნეობებში ჩადებული იყო 660 ათასი ტონა სილოსი — ერთიორად მეტი, ვიდრე 1954 წელს. განვლილ სამეურნეო წელს რძის საერთო წველადობა მთლიანად რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 50 პროცენტით მეტია, ვიდრე 1954 წელს. საშუალო წველადობა ერთ ძროხაზე კოლმეურნეობებში წლის განმავლობაში 269 კილოგრამით გადიდდა და შეადგინა 786 კილოგრამი, ანუ გეგმის 112 პროცენტი.

ახალ ხუთწლედში უზრუნველყოფილი იქნება ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი მეცხვარეობის შემდგომი განვითარება.

დიდი ყურადღება მიექცევა მეღორეობისა და მეფრინველეობის განვითარებას.

მთავარია შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდება

ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას უთმობდა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდას, რომელიც საბოლოო ანგარიშით ყველაზე მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი საზოგადოებრივი წყობილების და, მაშასადამე, კომუნისტური საზოგადოების გამარჯვებისათვის. „კომუნიზმი არის, — წერდა ვ. ი. ლენინი, — შრომის უმაღლესი, კაპიტალისტურთან შედარებით, ნაყოფიერება ნებაყოფლობით მომუშავე, შეგნებული, გაერთიანებული, მოწინავე ტექნიკის გამომყენებელი მუშებისა“.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში მომხდარი საწარმოო გადატრიალების, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის გამარჯვების შედეგად უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა. უკანასკნელი ოცდახუთი წლის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში 3-ჯერ და უფრო მეტად აღემატება შრომის ნაყოფიერების რევოლუციამდელ დონეს სოფლის მეურნეობაში. საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ინტერესები მოითხოვს, რომ ყოველი ღონისძიებით მივაღწიოთ სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების შემდგომ მძლავრ აღმავლობას. მეექვსე ხუთწლიან გეგმაში მითითებულია, რომ საბჭოთა მეურნეობებსა და სახელმწიფო დამხმარე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში შრომის ნაყოფიერება უნდა გადიდდეს 70 პროცენტით, კოლმეურნეობებში მკვეთრად უნდა გაიზარდოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და დაახლოებით ერთიორად გადიდდეს შრომის ნაყოფიერება. ამ საფუძველზე ხუთწლედში კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავალი გადიდდება საშუალოდ სულ ცოტა 40 პროცენტით, უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრივი მეურნეობის შემოსავლის ზრდის გზით.

საკოლმეურნეო საზოგადოებრივ მეურნეობაში მოწინავე ტექნიკის გამოყენებით და წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით დიდად გაიზარდა წარმოების მუშაკის გამომუშავება. ამჟამად ჩვენი ქვეყნის მოწინავე კოლმეურნეობებში ერთი ცენტნერი მარცვლეულის დამზადებაზე იხარჯება 0,55 კაცდღე, ერთი ცენტნერი ბოსტნეულის დამზადებაზე 0,3-0,4 კაცდღე. რაც უფრო ფართოდ და რაციონალურად გამოვიყენებთ მოწინავე ინდუსტრიულ ტექნიკას სოფლის მეურნეობაში, მით უფრო გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებაში განივთებული ინდუსტრიული შრომა და შემცირდება ცოცხალი შრომის წილი. ეს კი იწვევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაიაფებას.

შრომის ნაყოფიერების ზრდის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადიდების უმნიშვნელოვანესი პირობაა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყოველმხრივ განვითარება. საკოლმეურნეო საზოგადოებრივი მეურნეობის მძლავრი განვითარება განსაზღვრავს საკოლმეურნეო ცხოვრების ყველა მხარეს და შეადგენს კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ზრდის წყაროსა და საფუძველს.

საქართველოს სს რესპუბლიკისათვის მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით დასახული პროგრამის განხორციელება სოფლის მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას გამოიწვევს, მნიშვნელოვნად გაადიდებს სასოფლო-სამეურნეო საერთო და სასაქონლო პროდუქციას და აამაღლებს მშრომელთა მატერიალურ და კულტურულ კეთილდღეობას.

საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ენერგიულად შეუდგნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას და პარტიის მზრუნველობას საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისათვის უპასუხებენ დიდი შრომითი აღმავლობით, კომუნისტური მშენებლობის დიადი საქმეში თავიანთი წვლილის გაძლიერებით.



დოცენტი დ. ქორიძე.



მომდინარე წლის პირველი დღეებიდანვე ავჭალის შუშის ქარხნის კოლექტივი ენერგიულად და შეწყობილად მუშაობს. პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით საწარმოს კოლექტივი გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიენიჭა სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია. სურათზე: ტექნიკური კონტროლის უფროსი ნ. ტაბლაძე (მარცხნივ) და ოპერატორი რ. ნამურაძე ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მოსკოვისა და თბილისის სკოლების მეგობრობა

პოლიტექნიკური სწავლებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ მოწყობის მიზნით თბილისის 77-ე საშუალო სკოლის (დირექტორი გ. კობახიძე) პედაგოგთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის 204-ე საშუალო სკოლასთან. აღნიშნული სკოლების კოლექტივები ხშირად წერენ ერთმანეთს წერილებს თავიანთი მუშაობის შესახებ.

მოსკოვის 204-ე საშუალო სკოლა (დირექტორი მ. პოლიაკოვა) დედაქალაქის სკოლებს შორის ერთ-ერთი მოწინავეა. მას პოლიტექნიკური სწავლების დიდი გამოცდილება აქვს. იქ სანიმუშოდ არის დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. საკმარისია ითქვას, რომ დაწყებითი კლასების 475 მოსწავლიდან მესამე მეოთხედის ბოლოს ჩამორჩებოდა მხოლოდ 14. სკოლაში აკადემიური წარმატება 91 პროცენტს უდრიდა, ხოლო უკანასკნელი სამი წლის მანძილზე არც ერთ მოსწავლეს არ ჰქონდა დაბალი ნიშანი ყოფაქცევაში.

ამას წინათ 204-ე სკოლის კოლექტივის მიწვევით მოსკოვში 8 დღეს იყო თბილისის 77-ე სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ჯგუფი. თბილისელები ადგილზე გაეცნენ პოლიტექნიკური სწავლებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციას. ისინი იქ დაესწრნენ გაკვეთილებს, მოსწავლეთა პრაქტიკულ მეცადინეობას სასწავლო სახელოსნოებსა და კაბინეტ-ლაბორატორიებში, შეისწავლეს კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებანი და სხვ.

სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სკოლის მდიდარი და კეთილმოწყობილი მატერიალური ბაზის დათვალიერებამ. ჩვეულებრივ საკლასო ოთახებს გარდა იქ აქვთ 750-ადგილიანი საქმო დარბაზი. დიდ ოთახში მოწყობილია მოსწავლეთა თვითნაკეთი ხელსაწყოებისა და მოდელების გამოფენა. ფიზიკის კაბინეტს დათმობილი აქვს სამი ოთახი (ხელსაწყო-იარაღების, სადემონსტრაციო და პრაქტიკული მუშაობისა); ორ-ორი ოთახი უკავია ბიოლოგიისა და ქიმიის კაბინეტებს, ხოლო თითო ოთახი — გეოგრაფიის, ისტორიისა და მუსიკის კლას-კაბინეტებს. აღსანიშნავია ისიც, რომ საგნობრივ მეთოდურ კომისიებს დათმობილი აქვთ ცალცალკე ოთახები, სადაც თავმოყრილია მეთოდური ლიტერატურა, პროგრამები, გეგმები, მოხსენებები და სხვ.

სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს სასწავლო სახელოსნო, რომელსაც 5 ოთახი უკავია. აქ მოწყობილია ელექტროტექნიკის, რადიოტექნიკის, მანქანათმცოდნეობის, საზეინკლო და სადურგლო განყოფილებანი.

თბილისელებმა გადაწყვიტეს, რომ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და პოლიტექნიკური სწავლების უკეთესად დაყენებისათვის ბევრი რამ გადმოიღონ მოსკოველი მეგობრებისაგან. ელექტროტექნიკის, რადიოტექნიკის კაბინეტებსა და სადურგლო სახელოსნოს ისე მოაწყობენ, როგორც მათს მოსკოველ მეგობრებს აქვთ. ყველა მოსწავლეს მეცადინეობის დროს საკუთარი დაზგა, მაგიდა და ხელსაწყოიარაღები ექნება. მოაწყობენ ბეოგრაფიის, ისტორიისა და სხვ. კაბინეტკლასებს, აგრეთვე მოსწავლეების თვითნაკეთობათა გამოფენას. გაკვეთილების შუალედებში მოსწავლეთა კულტურული დასვენებისათვის სკოლის დერეფნებში დადგამენ რბილ აგეჯს, მოაწყობენ სასადილოს ისე, როგორც მოსკოველებს აქვთ.

მოსკოველი მეგობრები შინაარსიანად ატარებენ ხოლმე ზაფხულის არდადეგებს. ისინი მიდიან ქალაქგარეთ, რომელიმე კოლმეურნეობის დასახმარებლად. აქ მოსწავლეები ეჩვევიან შრომას, თვითონ იმზადებენ საჭმელს, ირეცხავენ ტანსაცმელს და გონივრულად ისვენებენ. მოსწავლეები კოლმეურნეებთან მართავენ კონცერტებს, უკითხავენ მათ ჟურნალ-გაზეთებს და სხვ.

მოსკოველთა მაგალითისამებრ მომდინარე წლის ზაფხულის არდადეგების დროს თბილისელი მოსწავლეები დაეხმარებიან გარეუბნის რაიონის ერთ-ერთ კოლმეურნეობას მოსავლის აღება-დაბინავებაში, პირუტყვის მოვლა-პატრონობასა და საკვების დაგროვებაში, კოლმეურნეებს უჩვენებენ თავიანთ მხატვრულ თვითმოქმედებას.

მომდინარე წლის სექტემბერში 77-ე სკოლის პიონერტრივისა და მოსწავლეთა მოწვევით თბილისს ესტუმრებიან მათი მოსკოველი მეგობრები.

ვ. გოზალიშვილი.

კოლმეურნეობები აგებენ სასკოლო შენობებს

შუახევი. (საკ. კორ.). რაიონის საწარმო-დაწესებულებები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები დიდ დახმარებას უწევენ სკოლებს, ხელს უწყობენ სახალხო განათლების მუშაკებს მშენებლობაში, სკოლის ეზოსა და შენობის კეთილმოწყობაში.

წელს კარგი ინიციატივა გამოიჩინეს შუახევის რაიონის კოლმეურნეობებმა. ამას წინათ შუახევში გამართულ სახალხო განათლების მუშაკთა რაიონულ თათბირზე ოლადაურისა და შუბნის სასოფლო საბჭოებში შემავალმა კოლმეურნეობებმა იკისრეს ახალი სასწავლო წლისათვის ააშენონ რამდენიმე ახალი სასკოლო შენობა. შუბნის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობამ გადაწყვიტა ააგოს საშუალო სკოლის 16-ოთახიანი შენობა და საექსპლოატაციოდ გადასცეს იგი მომდინარე წლის 20 აგვისტოსათვის. დარჩიძეების მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობა აშენებს რვაწლიანი სკოლის შენობას. რვაწლიანი სკოლის შენობას აგებს სოფელ მახალაკიძეების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაც. ამას გარდა აღნიშნული სოფლების კოლმეურნეობები ააშენებენ რამდენიმე ახალ დაწყებითს სკოლას, მათ შორის შორეულ სოფლებში ზეკარსა და ფოთაროში.

რაიონის სახალხო განათლების მუშაკთა თათბირმა მიიღო მომართვა აჭარის სხვა რაიონებისადმი, რათა გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მომზადების უზრუნველსაყოფად.

ამიერკავკასიის ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა ყრილობა

ბორჯომი. (საქკორ.). აქ გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა II ყრილობა.

ყრილობამ განიხილა 100-მდე მოხსენება უმაღლესი ნერვული მოქმედების, ბიოქიმიური პროცესების ნერვული რეგულაციის, სისხლისა და სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგიის, საჭმლის მონელების, ფარმაკოთერაპიის, კურორტოლოგიისა და სხვა საკითხებზე.

დიდი ინტერესი გამოიწვია აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის მოხსენებამ „ცხოველთა და ადამიანის ორიენტაცია სივრცეში“, სადაც მოცემულია იმ ფიზიოლოგიური მოვლენების ახალი ორიგინალური ანალიზი, რომლებიც განაპირობებენ ცხოველთა ორიენტაციას სივრცეში. პროფესორებმა ს. ნარიკაშვილმა, ნ. ძიძიშვილმა, ა. როიტბაკმა (თბილისი) თავიანთ მოხსენებებში წარმოადგინეს საინტერესო ფაქტები, რომლებიც ახლებურად აშუქებენ ანალიზატორთა შორის ურთიერთმოქმედების წარმოშობას, პირობითი რეფლექსების აღდგენას ახალგაზრდა ცხოველთა თავის ტვინის ქერქის დაწოლის შემდეგ.

საბჭოთა სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა ა. ოგანოვიანმა თავის მოხსენებაში ალაპარაკა ფუნქციათა კომპენსაციის ასაკობრივ და სახეობით თავისებურებათა შესახებ. პროფესორმა რ. სფარაიმა (ბაქო) მოახსენა ყრილობის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლაზე ნაფტალანიანი ნავთობისა და მისი პრეპარატების გავლენის შესწავლის შედეგების შესახებ.

ყრილობამ დასახა ღონისძიებანი იმისათვის, რომ მეცნიერებმა გააძლიერონ მუშაობა ფიზიოლოგიის, ბიოქიმიისა და ფარმაკოლოგიის ყველაზე აქტუალური პრობლემების შესწავლაში

იუგოსლავიის პრესა მოსკოვში პრეზიდენტ ბროზ ტიტოს ყოფნის შესახებ

ბელგრადი, 4 ივნისი. (საკ.). იუგოსლავიის ყველა გაზეთი პირველ და მეორე გვერდებზე აქვეყნებს მასალას პრეზიდენტ იოსიპ ბროზ ტიტოსა და იუგოსლავიის სხვა სახელმწიფო მოღვაწეების მოსკოვში ყოფნის შესახებ.

გაზეთები დაწვრილებით იუწყებიან, რომ მარშალმა ტიტომ და მისმა თანმხლებმა პირებმა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად დაათვალიერეს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი ბოტანიკური ბაღი.

გაზეთებმა „ბორბამ“ და „პოლიტიკამ“ მოათავსეს აგრეთვე დიდი ფოტოსურათები მოსკოვში ტიტოს გუშინდელ ღღეს ყოფნის შესახებ.

სპლიტიდან გაემგზავრა საბჭოთა სამხედრო ხომალდების ჯგუფი

სპლიტი, 4 ივნისი. (საკ.). სპლიტის მცხოვრებნი დიდ ინტერესს იჩენენ შავი ზღვის ფლოტის ხომალდების სპლიტის ნავსადგურში ყოფნისადმი. დღეს დილით გრძელდებოდა სამხედრო ხომალდების ნახვა. ნავსადგურში ყოფნის დროს კრეისერი „მიხეილ კუტუზოვი“ და საესკადრო ნაღმოსნები „ბეზუკორიზნენი“ და „ბესსმენნი“ სპლიტის 2 ათასზე მეტმა მოქალაქემ ნახა.

გუშინ ქალაქში გაიმართა შავი ზღვის ფლოტის სამხედრისა და ცეკავშირის ორი კონცერტი — რესპუბლიკის მოედანზე და იუგოსლავიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახლში, ორივე კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

შავი ზღვის ფლოტის სარდალი ადმირალი ვ. ა. კასატონოვი საბჭოთა სამხედრო ხომალდების უმაღლეს და უფროს ოფიცრებთან ერთად დღეს ეწვია სპლიტის გემსაშენს.

დღესვე იუგოსლავიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალმა ადმირალმა მატე ერკოვიჩმა გამოსათხოვარი სადილი გამართა შავ ზღვის ფლოტის სარდლის ადმირალ ვ. ა. კასატონოვის პატივსაცემად. სადილზე იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის დროებითი სავჭირო რწმუნებული იუგოსლავიაში ფ. ნ. გრიბაზოვი და სსრ კავშირის სამხედრო ატაშე იუგოსლავიაში პოლკოვნიკი ვ. ვ. კლიმიჩევი.

ნაშუადღევის ორი საათის. ხომალდებზე გამსვლაზავრებელი სამზადისია.

გამგზავრებამდე დიდი ხნით ადრე ნაგმინსაბელებზე და სანაპირო ჭიშკის გაყოლებით სპლიტის მცხოვრებმა მოიყარა თავი. გამგზავრების ცოტა ხნის წინ კრეისერზე მოვიდა იუგოსლავიის სამხედრო-საზღვაო